საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2007 წლის 31 ფებრვალის №498/9 გადაწყვეტილების საფუძველზე წარმოგიდგენთ შპს „ახალი ქსელების“ ქ. თბილისში და ქ. ქუთაისში მაგისტრალური საკომუნიკაციო ციფრული სისტემების ელემენტებთან და რესურსთან დაშვების შეთავაზების წინადადება (მოწვევა ოფერტაზე)

1. გადაწყვეტილების მე-4 პუნქტის ა.ა. ქვეპუნქტის თანახმად ქ. თბილისის და ქ. ქუთაისის გეოგრაფიულ სეგმენტებზე მაგისტრალური საკომუნიკაციო ციფრული სისტემების ელემენტებთან და რესურსთან დაშვების დატვირთული სიმძლავრე:

ახალი ქსელები (თბილისი)

ასს-ის ინდექსი	მისამართი	მულტიპლექსორის ტიპი	E1-ების რ-ბა	დაკავებული E1- ების რ-ბა	თავისუფალი E1- ების რ-ბა
33	ჩიქოვანის ქ. № 16	STM-4/STM-16	224	180	64
69	ე. ბეჟანიშვილის ქ. №11	STM-4	80	62	18
საქ.ტელეკომი	რუსთაველის გამზ.31	STM-4/STM-16	210	183	27
სულ			514	425	109

ვინაიდან „ახალი ქსელებს“ ქ. ქუთაისში არ გააჩნია თავისუფალი მაგისტრალური საკომუნიკაციო ციფრული სისტემების ტერმინალების სიმძლავრე „ახალი ქსელები“ მოწვევის ოფერტა ქ. ქუთაისში არ აცხადებს.

2. გადაწყვეტილების მე-8 პუნქტის ა.ბ. ქვეპუნქტების თანახმად:

მაგისტრალური საკომუნიკაციო ციფრული სისტემების ტერმინალებთან და მათ რესურსთან დაშვების ტარიფი:

- 2 მბიტ/წმ არხის მოწყობა (ინსტალაცია) - *300 ლარი (დღგ-ს ჩათვლით);*

- ყოველთვიურად 2 მბიტ/წმ არხის მომსახურება- *250 ლარი (დღგ-ს ჩათვლით);*

3. გადაწყვეტილების მე-8 პუნქტის ა.გ. ქვეპუნქტების თანახმად:

1) დაშვების მსურველმა ოპერატორმა უნდა წარმოადგინოს მაგისტრალური საკომუნიკაციო ციფრული სისტემების გამოყოფაზე განაცხადი სისტემების რაოდენობის და ჩართვის წერტილის მითითებით ;

2) „ახალი ქსელები“ 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში განიხილავს მსურველი ოპერატორის მიერ წარმოდგენილ განაცხადს და დადებითი პასუხის

ეკუთვნოდეს. ეს წარუდგენს მას მაგისტრალური საკომუნიკაციო ციფრული სისტემების ტერმინალებთან და მათ რესურსთან დაშვებაზე ხელშეკრულების პროექტს. ხელშეკრულების ხელმოწერიდან 3 (სამი) სმუშაო დღის ვადაში „ახალი ქსელები" უზრუნთელყობს მაგისტრალური საკომუნიკაციო ციფრული სისტემების ტერმინალებთან და მათ რესურსთან დაშვებას;

3) მომსახურების გადახდა განხორციელდება საანგარიშო თვის მომდევნო თვის 20 რიცხვამდე, შედგენილი საოქმო გადაწყვეტილების და წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე. მხარეებს შორის წარმოქმნილ სადაო ნაწილზე მხარე წერილობითი ფორმით მიმართავენ ერთმანეთს. პრეტენზიის წარდგენიდან 5 დღის ვადაში მხარეები ქმნიან ერთობლივ კომისიას, რომელიც 5 სამუშაო დღის ვადაში შეისწავლის საკითხს და წარმოადგენს თავის დასკვნას. იმ შემთხვევაში, თუ შეთანხმება არ იქნება მიღწეული მხარეები მიმართავენ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას ან სასამართლოს.

4) ანგარიშსწორების ვადების დარღვევის შემთხვევაში დამრღვევი მხარე ვალდებულია გადაუხადოს მეორე მხარეს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე არ გადახდილი თანხის 0,1%-ის ოდენობით.

5. გადაწყვეტილების მე-8 პუნქტის ა. ე. ქვეპუნქტის თანახმად, დაშვების შესახებ ხელშეკრულება გაფორმებულ იქნება აქცეპტის მიღებიდან 20 სამუშაოო დღის ვადაში.

6. გადაწყვეტილების მე-8 პუნქტის ა. ვ. ქვეპუნქტის თანახმად:

ვინიდან შპს „ახალ ქსელებს" გააჩნია მხოლოდ აუცილებული ფართები, სადაც განთავსებულია: საკომუტაციო დარბაზი, კროსის, საგენერატორო, სააკომულიატორო და სააპერატორო. აღნიშნულ ფართებზე ტექნიკური ნორმების გათვალისწინებით დაუშვებელია თანალოკაციის ფართის გამოყოფა. ამდენად „ახალ ქსელებს" არ გააჩნია თავისუფალი თანალოკაციის ფართი.

7. გადაწყვეტილების მე-8 პუნქტის ა. ი. ქვეპუნქტის თანახმად, მხარეები თავისუფლდებიან პასუხსიმგებლობისაგან მათ მიერ ნაკისრი ვალდებულებებიდან ფორს-მაჟორულ გარემოებებში შექმნილ პირობებში (ფორს-მაჟორულ გარემოებას მიეკუთვნება წყალდიდობა, მიწისძვრა, ხანძარი, ტერორისტული აქტები და სხვა). თუ ზემოხსენებულმა ფორს-მაჟორულმა გარემოებებმა უშუალოდ იმოქმედეს მხარეებს მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, მხარეები ვალდებული არიან დაუყონებლივ აცნობონ ერთმანეთს ამ გარემოებების დადგომიდან ან დასრულებიდან, მაგრამ არაუგვიანეს 7 (შვიდი) დღისა. შეუტყობინებლობის ან აღნიშნულ ვადაში შეტყობინების წარმოდგენის შემთხვევაში, მხარე კარგავს უფლებას დაეყრდნოს ფორს-მაჟორული გარემოების არსებობას, როგორც პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველს.

8. წინამდებარე ოფერტა ძალაშია გამოქვეყნებიდან 6 (ექვსი) თვის ვადით.

შპს „ახალი ქსელების"
გენერალური დირექტორი
ა. იაშვილი